ს(ს)იპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში

მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ტექსტში შემდგომ - "კონსერვატორია") აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - "წესი") შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსი"-ს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და კონსერვატორიის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს დაწესებულების მოთხოვნებისა და პრეტენდენტის პროფესიული უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება კონსერვატორიის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

საშემსრულებლო ფაკულტეტზე

საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულებებზე (სპეციალური ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, სავალდებულო ფორტეპიანო, სოლო აკადემიური სიმღერა, საოპერო მომზადება, საორკესტრო სიმებიანი საკრავები, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, ჯაზის ხელოვნება) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში და აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში,

ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 8 წლის, მათ შორის, ბოლო 6 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიურ-შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება;

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები;

ა) პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტების პროფესიული წარმატებები, ჩატარებული მასტერკლასები/კლასის კონცერტები, წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები და სხვა);

კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 6 წლის მონაცემებს

ბ) შემოქმედებითი მიღწევები (საკონცერტო მოღვაწეობა, წარმატებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე; დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD, DVD), სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა და სხვა.

ფასდება საშემსრულებლო-შემოქმედებითი მოღვაწეობის სრული პერიოდი

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბოლო 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის გამოცდილება;

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტების პროფესიული წარმატებები, ჩატარებული მასტერკლასები/კლასის კონცერტები, წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები და სხვა);

კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 4 წლის მონაცემებს

ბ) შემოქმედებითი მიღწევები (საკონცერტო მოღვაწეობა, წარმატებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე; დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD, DVD), სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა და სხვა).

ფასდება საშემსრულებლო-შემოქმედებითი მოღვაწეობის სრული პერიოდი

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური ან/და შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) საშემსრულებლო-შემოქმედებითი უნარები (მიმართულების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი რეპერტუარის შესრულება);

ბ) პედაგოგიური უნარები (გაკვეთილის ჩატარება კონსერვატორიის სტუდენტთან/გუნდთან).

შეფასების დამატებითი კრიტერიუმი:

ა) შემოქმედებითი მიღწევები (საკონცერტო მოღვაწეობა, მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე, დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD/DVD) და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა);

ბ) პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)** დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის **აკადემიური ხარისხი და პროფესიული გამოცდილება** უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას.

<u>კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე</u>

კომპოზიციის მიმართულებაზე

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 8 წლის, მათ შორის, ბოლო 6 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიურ-შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება;

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) **პედაგოგიური მოღვაწეობა** (აღზრდილ სტუდენტთა პროფესიული წარმატებები, კანდიდატის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული საბაკალავრო/სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები-ნაწარმოებები, შესაბამისი მიმართულებით სასწავლო კურსების წაყვანის გამოცდილება და სხვა);

კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 6 წლის მონაცემებს

ბ) **აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა** (აღიარებული ნაწარმოებები, საავტორო კონცერტები, წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ მუსიკალურ ღონისძიებებში და სხვა); **სამეცნიერო და მეთოდური მოღვაწეობა** (სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, ქრესტომათიების, ტრანსკრიფციების შედგენა, რედაქტირება და სხვა).

ფასდება შემოქმედებითი მოღვაწეობის სრული პერიოდი

შეფასების დამატებითი კრიტერიუმი:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა პირი, რომელსაც აქვს თვალსაჩინო შემოქმედებითი მოღვაწეობისა და უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბოლო 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის გამოცდილება;

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) **პედაგოგიური მოღვაწეობა** (აღზრდილ სტუდენტთა პროფესიული წარმატებები, კანდიდატის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული საბაკალავრო/სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები-ნაწარმოებები, შესაბამისი მიმართულებით სასწავლო კურსების წაყვანის გამოცდილება და სხვა);

კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 4 წლის მონაცემებს.

ბ) **აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა** (აღიარებული ნაწარმოებები, საავტორო კონცერტები, წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ მუსიკალურ ღონისძიებებში და სხვ.); **სამეცნიერო და მეთოდური მოღვაწეობა** (ახალი სასწავლო კურსების, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, ქრესტომათიების, ტრანსკრიფციების შედგენა, რედაქტირება და სხვა).

ფასდება საშემსრულებლო-შემოქმედებითი მოღვაწეობის სრული პერიოდი.

შეფასების დამატებითი კრიტერიუმი:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური ან/და შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) შემოქმედებითი-პროფესიული უნარები (დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საკუთარი ნაწარმოებების პრეზენტაცია);

ბ) პედაგოგიური უნარები (გაკვეთილის/ლექციის ჩატარება კონსერვატორიის სტუდენტთან).

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები:

ა) შემოქმედებითი მიღწევები (საკონცერტო მოღვაწეობა, მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე, დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა);

ბ) პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)** დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის **აკადემიური ხარისხი და პროფესიული გამოცდილება** უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას.

მუსიკოლოგიის მიმართულებებზე (მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, საეკლესიო მუსიკა, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება)

პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის, მათ შორის, ბოლო 6 წლის განმავლობაში პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად მუშაობის გამოცდილება.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) პედაგოგიური გამოცდილება (საბაკალავრო/სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კონსულტანტობა; სპეც. კურსების წაყვანა, სტუდენტების/ კურსდამთავრებულების პროფესიული წარმატებები და სხვა);

კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 6 წლის მონაცემებს.

ბ) სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის გამოცდილება (სამეცნიერო, მეთოდური ნაშრომების ავტორობა, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში; სამეცნიერო სტიპენდია, პრემია, ჯილდო და სხვა).

ფასდება სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის სრული პერიოდი.

შეფასების დამატებითი კრიტერიუმი:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ბოლო 4 წლის განმავლობაში პროფესორად, ასოცირებულ, ან ასისტენტ-პროფესორად მუშაობის გამოცდილება.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) პედაგოგიური გამოცდილება (შესაბამისი მიმართულებით სალექციო კურსების წაყვანის გამოცდილება; სასურველია საბაკალავრო/სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კონსულტანტობა; სასურველია სტუდენტების/კურსდამთავრებულების პროფესიული წარმატებები და სხვა);

შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 4 წლის მონაცემებს.

ბ) სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის გამოცდილება (სამეცნიერო, მეთოდური ნაშრომების ავტორობა, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებში; სამეცნიერო სტიპენდია, პრემია, ჯილდო და სხვა);

ფასდება სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის სრული პერიოდი.

შეფასების დამატებითი კრიტერიუმი:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე **პირი,** რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური ან/და სამეცნიერო მუშაობის (არანაკლებ ერთი წლის) გამოცდილება.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

ა) სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებით-პრაქტიკული საქმიანობა (სამეცნიერო ნაშრომების ავტორობა, მონაწილეობა სიმპოზიუმებში, კონფერენციებში; ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედებისა და საეკლესიო მუსიკის მიმართულებებზე - შემოქმედებით-პრაქტიკული საქმიანობა, შემკრებლობითი მუშაობა, ექსპედიციებში მონაწილეობა ან ხელმძღვანელობა, პროფილის შესაბამისი შემსრულებლობა - ფოლკლორულ ანსამბლსა და მგალობელთა გუნდში).

ბ) პედაგოგიური უნარები (გაკვეთილის ჩატარება კონსერვატორიის სტუდენტთან).

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები:

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)** დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის **აკადემიური ხარისხი და პროფესიული გამოცდილება** უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს კონსერვატორიის რექტორი.
2. კონკურსის პირობები ქვეყნდება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების

მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება კონსერვატორიისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს კონსერვატორიის რექტორი.
2. კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, ექსპერტად მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
3. კომისიის შემადგენლობაში კონსერვატორიის რექტორის მიერ განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უხელმძღვანელებს სხდომას. კომისიის მდივანი აირჩევა წევრთა მიერ პირველ სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით.
4. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.
5. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით.
6. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).
7. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში.
8. საკონკუსრო კომისიის სხდომა დახურულია.
9. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს.
2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი მტკიცდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს წარუდგინოს განცხადება (წინამდებარე წესის დანართი №1) კონკურსში მონაწილეობის შესახებ. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ განცხადებას დაურთოს ფაკულტეტის მიმართულების შესატყვისი შევსებული ანკეტა (წინამდებარე წესის დანართი №2) და შესაბამისი დოკუმენტაცია.
5. კონკურსანტის მიერ შევსებული განცხადების, ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა ნაბეჭდი სახით.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებულ უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.
7. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
8. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით მოწმდება და ილუქება კონსერვატორიის ბეჭდით.
9. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ დაირღვევა წინამდებარე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები, მას უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ეძლევა ხსენებული დარღვევ/ებ/-ის გამოსწორების ვადა, არაუმეტეს საკონკუსრო განცხადებების (დოკუმენტაციის) მიღების ვადის ამოწურვიდან ორი სამუშაო დღისა.

მუხლი 6. კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციისა და პედაგოგიურ-შემოქმედებითი/სამეცნიერო კომპეტენციის შემოწმება

1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ, საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს მესამე დღისა დალუქულ მდგომარეობაში, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის უფროსის ხელმოწერითა და კონსერვატორიის ბეჭდით.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.
3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულეს, შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან და ინფორმაციის სისწორეს. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია, მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

მუხლი 7. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კონკურსანტი ფასდება საკონკურსო მოთხოვნებით გათვალისწინებული ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, თითოეულში მიღებული ქულების ჯამით.
2. თითოეული კრიტერიუმი (კომპონენტი) ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით. (*14.01.2019. ამოქმედდეს 2019 წლის 15 იანვრიდან)*
3. გამსვლელი ქულა პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შეადგენს 18-ს, ასოცირებული პროფესორისათვის 16 ქულას.
4. გამსვლელი ქულა ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შეადგენს 16-ს (თითოეულ კომპონენტში გამსვლელი ქულა არის 8).

4'. კრიტერიუმის (კომპონენტის) ქულობრივი შეფასება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ლექციის შინაარსი -4 ქულა, საიდანაც არჩეული თემის შესაბამისობა სილაბუსთან - 1 ქულა; თემის ძირითადი დებულებების გაშლა - 1 ქულა; თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი, თეორიული მასალის და კონკრეტული მაგალითების თანხვედრა - 1 ქულა; გამოყენებული ტერმინოლოგიის სიზუსტე 1 ქულა;

ბ) სწავლების მეთოდები - 3 ქულა, საიდანაც სალექციო დროის რაციონალური გამოყენება - 1 ქულა; სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება- 1 ქულა; გადმოცემის ლოგიკურობა და არგუმენტირებულობა- 1 ქულა;

გ) კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები - 3 ქულა, საიდანაც მეტყველების კულტურა- 1 ქულა; ინფორმაციის გადამუშავება- 1 ქულა; სტუდენტურ აუდიტორიასთან კონტაქტი- 1 ქულა. (*14.01.2019. ამოქმედდეს 2019 წლის 15 იანვრიდან)*

5. საკონკურსო კომისია კონკურსანტს (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად) აფასებს ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წინამდებარე წესის დანართი N3).
6. საკონკურსო კომისია კონკურსანტის (ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად) პედაგოგიურ-შემოქმედებით/სამეცნიერო კომპეტენციებს აფასებს წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წინამდებარე წესის დანართი N4).
7. კონკურენციის პირობებში, პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე ძირითად კრიტერიუმებში შეჯამებულ გამსვლელ ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, კონკურსანტები ფასდებიან დამატებითი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე 10 ქულის ფარგლებში.

მუხლი 8. გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.
2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.
3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს.
4. კონკურსის შედეგებს ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო და აცხადებს საჯაროდ.
5. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა კონსერვატორიის კადრების განყოფილებას. კონკურსანტსა და პრეტენდენტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) კონსერვატორიის კადრების განყოფილებაში.